ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის

ქ. თბილისი

16/04/2026 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია** (შემდგომში - „ადვოკატთა ასოციაცია"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ირაკლი ყანდაშვილის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო** (შემდგომში - „სააგენტო") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ირაკლი ლექვინაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", ვითვალისწინებთ რა მხარეთა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს, გამოვხატავთ ერთობლივი ძალისხმევით მხარეთა საქმიანობის განვითარება/გაღრმავებისა და სხვადასხვა აქტივობების ერთობლივად განხორციელების სურვილს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებისა და კონკურენციის სამართლის, ანტიდემპინგის მიმართულებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში პროფესიული სტანდარტების განვითარებას, მათ შორის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კონკურენციის სამართლის კომიტეტის ჩართულობით, რომელიც წარმოადგენს ასოციაციის ფარგლებში კონკურენციის სამართლის სფეროში სპეციალიზებულ პროფესიულ პლატფორმას.

ურთიერთგაგების მემორანდუმი გულისხმობს:

- კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;
- სამართლებრივი პრაქტიკის გაუმჯობესებას;
- ადვოკატთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას აღნიშნულ სფეროებში;
- საზოგადოებაში ცნობიერების ზრდას.

მუხლი 2. თანამშრომლობის მიმართულებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანამშრომლობას განახორციელებენ შემდეგი მიმართულებით:

- ერთობლივი ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება;
- პრაქტიკული სახელმძღვანელოების, რეკომენდაციებისა და კვლევების შემუშავება;
- კონკურენციის სამართლის პრაქტიკის ანალიზი და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე საინფორმაციო კამპანიების განხორციელება;
- პროფესიული დიალოგის ხელშეწყობა კერძო და საჯარო სექტორს შორის.

მუხლი 3. ერთობლივი პროგრამების განხორციელება

3.1. მხარეები, ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, კონკრეტულ ღონისძიებებს განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში.

3.2. მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, თანამშრომლობის მიმდინარეობისა და შედეგების განხილვის მიზნით, შესაძლებელია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, საკონტაქტო პირების გამოყოფა ორივე მხარის მიერ და ცალკეული შეთანხმებების გაფორმება.

3.3. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამებისა და სხვა ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა:

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა შესაძლებელია დასრულდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი მიმართვის გზით.

4.2 მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია, ამის თაობაზე მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა აცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 5. სხვა პირობები

5.1. მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა კეთილსინდისიერ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ დოკუმენტს და არ წარმოშობს სამართლებრივად სავალდებულო ვალდებულებებს.

5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით;

5.3. წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

5.4. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით;

5.5. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი გამოხატავს მხარეთა სურვილს ითანამშრომლონ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ სფეროში;

5.6. წინამდებარე დოკუმენტი მხარეთათვის რაიმე სახის ფინანსური ინვესტიციის განხორციელებას ან/და რაიმე ტიპის ფინანსური ვალდებულების წარმოქმნას არ ითვალისწინებს, თუ რამეზე მხარეები არ შეთანხმდნენ დამატებით;

5.7. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები:

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ს/კ: 200002120 ტელეფონი: 032 205 44 22 ელ. ფოსტა: info@gcca.gov.ge მისამართი: 0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154. ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი" თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე	სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მის: თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, ტელ.: (+995 32) 298 78 78 ელ. ფოსტა: info@gba.ge თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი